ვამტკიცებ:
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი
გიორგი გიორგაძე _____

შეთანხმებულია:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი სალომე მელია _____

საქართველოს ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატი შშმ პირთა შორის

ქ. ბათუმი, 19.06.- 23.06.2022 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორები:

-საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია;

-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია;

ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი:

-აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

ჩატარების ადგილი:

-მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სასპორტო სკოლა. მის: ლეონიძის 15

ჩატარების სისტემა: ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
ტურნირში დაითვლება ფიდე-ს რეიტინგი.
მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები.
დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 45 წუთი პარტიის ბოლომდე, თითოეულ სვლაზე 30 წამის დამატებით.
თაი-ბრეიქი: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;

3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ანკეტა:
https://forms.gle/FAk6bebGeo1Y1aT66

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2022 წლის 18 ივნისის 18:00 საათი.

ტურნირის განრიგი:

ჩამოსვლის დღე	19 ივნისი	
ტურნირის გახსნა	20 ივნისი	13:00 სთ.
I ტური	20 ივნისი	14:00 სთ.
II ტური	20 ივნისი	16:00 სთ.
III ტური	21 ივნისი	14:00 სთ.
IV ტური	21 ივნისი	16:00 სთ.
V ტური	22 ივნისი	14:00 სთ.
VI ტური	22 ივნისი	16:00 სთ.
VII ტური	23 ივნისი	11:00 სთ.
დახურვა	23 ივნისი	13:00 სთ.

საერთო წესები:

ტურის დაწყებიდან 15 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება აჭარის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

გამარჯვებულები: - I, II, III საპრიზო ადგილზე გასული ვაჟები და ქალები დაჯილდოვდებიან მედლებითა და დიპლომებით, ხოლო ჩემპიონი აგრეთვე თასით.

საპრიზო ფონდი ვაჟთა შორის:	საპრიზო ფონდი ქალთა შორის:
I ადგილი - 500 ლ.	I ადგილი - 500 ლ.
II ადგილი - 300 ლ.	II ადგილი - 300 ლ.
III ადგილი - 200 ლ.	III ადგილი - 200 ლ.

ტურნირის ყველა მონაწილეს ასევე გადაეცემა სამახსოვრო საჩუქრები.

არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (#10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.

კოვიდ - 19 -თან დაკავშირებით მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი ალექსანდრე არსენიძე

საკონტაქტო ელ. ფოსტა: info@acf.ge მობ: 599 069497, 558 410904